



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 10 ნოემბერი

დისციპლინური საქმე №112/19-1
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 12 ივნისის №112 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 12 ივნისის №309/112-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 2 აგვისტოს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება:

1.1. საჩივრის ავტორის აზრით სასამართლომ დაარღვია კანონის მოთხოვნები და უარი უთხრა განცხადების დაკმაყოფილებაზე. ამასთან, უკანონოდ დააკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

1.2. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ მოსამართლემ გააჭიანურა მისი საქმის განხილვა.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- 2010 წლის 21 ივნისს სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხე - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ.

--- სასამართლოს 2013 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით, --- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

-- -- 2019 წლის 11 მარტს განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 21 მარტის განჩინებით, --- განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ --- სასამართლოს.

2019 წლის 2 აპრილს საქმე განსახილველად დაეწერა მოსამართლე ---.

-- -- სასამართლოს 2019 წლის 8 აპრილის განჩინებით, --- განცხადებაზე დაუდგინდა ხარვეზი - სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა და ახლად აღმოჩენილ

გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადებისთვის საჭირო მონაცემების დაზუსტება.

-- -- სასამართლოს მოსამართლის -- -- 2019 წლის 8 მაისის განჩინებით, -- -- განცხადება -- -- სასამართლოს 2013 წლის 6 ნოემბრის №-- გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 2 აგვისტოს დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევადგინოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლე -- -- მხრიდან მის მიერ წარდგენილი ზემოაღნიშნულის შესაბამისად, საჩივრის ავტორის გამოთქმული მოსაზრებები განჩინების კანონის მოთხოვნათა დარღვევით მიღებაზე განეკუთვნება კანონიერების სფეროს, რაც ვერ გახდება დისციპლინური სამართალწარმოების დროს მსჯელობის საგანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მე-2¹ ნაწილის თანახმად, სარჩელს (განცხადებას) უნდა ერთოდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე - თუ განმცხადებელი ფიზიკური პირია – 100 ლარს;

საჩივრის ავტორი მიუთითებს სახელმწიფო ბაჟის გადახდის უკანონოდ დაკისრებაზე, რაც საქმის მასალების შესწავლის შედეგად არ დადასტურდა. ახლად აღმოჩენილი გარემოების შესახებ განცხადებისთვის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდას 100 ლარის ოდენობით, რის საფუძველზეც იმოქმედა სასამართლომ.

ვინაიდან, მოსამართლე შესაბამისი გადაწყვეტილებისა და განჩინების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, მიღებული აქტის კანონიერებაზე (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1. პუნქტი).

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 2 აგვისტოს დასკვნით დადგინდა, რომ -- -- 2019 წლის 12 ივნისის №112 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება, -- -- 2019 წლის 12 ივნისის №112 საჩივარზე, მოსამართლე -- -- მიმართ, გამოტანილი განჩინების კანონიერების შემოწმების ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი